



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 211/ს
26/07/2022

211-21-4-202207261040



**ქ. ბათუმში, შპს „გრინლაითჯორჯიას“ საკვები მცენარეული ზეთების გადამამუშავებელი
საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „გრინლაითჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საკვები მცენარეული ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „გრინლაითჯორჯიას“ საკვები მცენარეული ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. ბათუმში, ადლიის დასახლებაში, 2 997 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.32.06.188) განთავსებულ შენობაში (800 მ²), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს განთავსების ადგილის GPS კოორდინატებია: X-717535.71, Y-4608129.55; X-717530.26, Y-4608145.62; X-717563.82, Y-4608143.96; X-717564.75, Y-4608129.90. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 560 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჭოროხი - 320 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს განთავსების ადგილიდან დაახლოებით 20 მეტრში მდებარეობს შპს „მერკურის“, ხოლო 100 მეტრში - შპს „ალიანსის“ საწარმოები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე წლიურად დაგეგმილია 1 200 ტონა საკვები ზეთების (კოდი: 20 01 25) გადამამუშავება. საწარმოში, ნარჩენების აღდგენის მიზნით, განთავსდება „ALARKO CARRIER SAN. VE T/C. A.S“-ის, „ALF“ სერიის, „ALF 80/2“ მოდელის სანთური (წარმადობა 80 კგ/სთ), რომელიც საწყის ეტაპზე, იმუშავებს დიზელის საწვავზე, ხოლო შემდგომ - ბუნებრივ აირზე. ობიექტის სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 265 დღეს და დასაქმდება 15-25 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ობიექტზე საკვები ზეთების შემოტანა განხორციელდება ადგილობრივი ბაზრიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, კონტრაქტორი კომპანიების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით. საწარმოში შემოსული საკვები მცენარეული ზეთები, თავდაპირველად, განთავსდება საწყობში. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით, საწყობში განთავსებული თხევადი ზეთები, ტუმბოს საშუალებით, გადავა რეაქტორში (6 ტონა), ხოლო მყარ მდგომარეობაში მყოფი ზეთები რეაქტორში მოხვდება ჰიდრაულიკური პრესის

მეშვეობით. აღნიშნული რეაქტორი, ტუმბოს საშუალებით, მუდმივი ცირკულაციის გზით, უზრუნველყოფს ნარევის ერთგვაროვნებას და გაფილტვრას. 50-60⁰-მდე გაცხელების შემდგომ, გაფილტრული ზეთი განთავსდება 3 ერთეულ, 25 ტონიან ავზში. დოკუმენტის თანახმად, სანთურში საწვავად გათვალისწინებული დიზელის ობიექტზე შემოტანა განხორციელდება 2-3 კვირაში ერთხელ, ხელით გადასატანი კონტეინერებით (40-60 ლიტრი) და განთავსდება 1,33 მ³ მოცულობის მქონე ავზში. საკვები ზეთების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია, ბიოდიზელის წარმოების მიზნით, გავა ექსპორტზე. დოკუმენტში სრულყოფილად არ არის აღწერილი ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი და არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოში შეტანილი საკვები ზეთების, ასევე, გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების დასაწყობების ადგილისა და განთავსების პირობების შესახებ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია არსებულ, ერთსართულიან შენობაში (800 მ²), თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ ობიექტის მოწყობის პროცესში გათვალისწინებულია საძირკვლების გათხრა და სამონტაჟო სამუშაოები. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების, მოსაწყობი ინფრასტრუქტურის და გამოყენებული ტექნიკის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის/ექსკავირებული გრუნტის მოცულობა, ასევე, დროებით განთავსებისა და შემდგომი გამოყენების საკითხები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. სკრინინგის განცხადებაში საწარმოო ნარჩენებად განხილულია როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენები. არასახიფათო ნარჩენებად, დოკუმენტში მითითებულია საკვები ზეთების გაფილტვრის შედეგად წარმოქმნილი მყარი ნარჩენები, რომლებიც კლასიფიცირებულია 20 03 01 კოდით (შერეული მუნიციპალური ნარჩენები), ხოლო სახიფათო ნარჩენებად განხილულია საასენიზაციო ორმოში დაგროვილი ნარჩენები, რომლებიც კლასიფიცირებულია 16 10 01* კოდით (წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს). სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და მართვის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, განმარტებას საჭიროებს საკვები ზეთების გაფილტვრის შედეგად წარმოქმნილი მყარი ნარჩენების 20 03 01 კოდით (შერეული მუნიციპალური ნარჩენები) და საასენიზაციო ორმოში წარმოქმნილი ნარჩენების 16 10 01* კოდით (წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) კლასიფიცირების და შემდგომი მართვის საკითხი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საწარმო სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგდება ბუტილირებული სახით, ხოლო, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალაღება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული ჭაბურღილიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეგროვდება 6 მ³ მოცულობის მქონე ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის შესახებ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს სანთურში სათბობად გამოყენებული დიზელის საწვავის წვის პროდუქტები: აზოტის ოქსიდი, მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოოქსიდი, ნახშირორჟანგი. ამასთან, დოკუმენტში არ არის განხილული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის ყველა წყარო, კერძოდ, არ არის მოცემული დიზელის საწვავის დროებითი განთავსების ადგილიდან და რეაქტორში საკვები ზეთის გაცხელებისას მოსალოდნელი გაფრქვევები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ხმაურის წარმოქმნასა და გავრცელებას ადგილი ექნება როგორც საწარმოს მოწყობის, ისე - ექსპლუატაციის ეტაპზე. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა და ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში ჩართული სატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში წარმოდგენილი ხმაურის გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საანგარიშო წერტილში ხმაურის დონე იქნება 30,9 დბა. შესაბამისად, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში, ხმაურის ზემოქმედებით გამოწვეული ზემოქმედება, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილის (560 მ) გათვალისწინებით, არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს განთავსების ადგილიდან დაახლოებით 20 მეტრში მდებარეობს შპს „მერკურის“, ხოლო 100 მეტრში - შპს „ალიანსის“ საწარმოები. აღნიშნული საწარმოების ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის. შესაბამისად, დაზუსტებას და დამატებით შესწავლას საჭიროებს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, წარმადობისა (1 200 ტონა) და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 და მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ე. ბათუმში შპს „გრინლაითჯორჯიას“ საკვები მცენარეული ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია (ნარჩენების აღდგენა) დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გრინლაითჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გრინლაითჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრინლაითჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ე. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო